№ 96
შაბათი, 6 მაისი 1895

1877—1895

# ივერია

№
შაბათი, 6 მაისი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | | თვე | მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 70 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 55 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 9 მაისს.**

**ნატალია მიხეილის ასული საყვარელიძისა,** აცნობებს-რა ნათესავთა და ნაცნობთა თვისთა გარდაცვალებასა ქმრისა თვისისა სამსახურიდგან გადამდგარის პოდპოლკოვნიკის **ივანე იოსების ძის საყვარელიძისას,** სთხოვს მობრძანდნენ კვირას 7 მაისს, დილის $9^1/_2$ საათზედ, ავლაბარში, ობსერვატორის ქუჩა, № 8, საკუთარს სახლში, საიდგანაც განსვენებულს წაასვენებენ პეტრე-პავლეს ეკკლესიაში, სადაც წირვისა და პანაშვიდის გარდახდის შემდეგ დასაფლავებულ იქმნება აქაურს სასაფლაოზედ. (1—1268—1)

## ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ა 7 მ ა ი ს ს.

ვისაც სურს შემოსწიროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს.**
(ნიკოლოზის ქუჩა, საგინოვის სახლი № 21).
იმ შემთხვევაში, თუ ამ დღეს ცუდი, წვიმიანი ამინდი იქნება, ლატარია-ალეგრი გადადებულ იქნება 14 მაისისათვის.

## ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს,** როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**
მსურველთ მოვემართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი კობულაშვილისა, 17.
(15—„)

**ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთ წინამძღოლი აუწყებს** ამით თავად-აზნაურობას ტფილისის გუბერნიისას, რომ თავად-აზნაურთა განსაკუთრებითი კრება **შესდგება შვიდს ამა მაისს,** ათს საათზედ, დილით, თავისს საკუთარს სახლში, ლორის-მელიქიშვილის ქუჩაზედ. (3—6.—3)

## კაბინეტი კბილის ექიმთა
**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—ბდა საღამოს 4—7 საათამდე.

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრის შემოსწირეს: მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ შემოსწირა ოთხი ლამაზი ნივთი; კნ. სალომე სვიმონის ასულმა ჯანდიერისამ ბროლის საათი; ბარბარე მიხეილის ასულმა ცერცვაძისამ ოთხი სურათი ჩარჩოში. მარიამ ალექსანდრეს ასულმა ციციშვილისამ მშვენიერი ყვავილებიანი ლამპრის დასადგმელი; ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. კონსტანტინე ივანეს ძემ ბაგრატიონ-მუხრანსკიმ თავისისავე მამულის თორმეტი ბოთლი პირველის ხარისხის ღვინო; ნატალია ჯიჯავაძისამ მარწყვის კალათი; ნინო თამაზოვისამ ქაღალდის კალათი და ლოტის მეუღლემ ლამაზი ვაზა, მარაო და შავის ხის ჭიქა.

ლიდია ზაქარიას ასულმა ამირაღოვისამ ორი ბროლის კალათი, ერთი სასუხრე, ოთხი მუშთუქი, ორი წყვილი ხელთათმანი, ერთი შეკვრა საწერი ქაღალდი და საპუდრე; ვასილ ელიოზიშვილმა შვიდი ყვავილებიანი თეფში, ერთი საკარაქე და ერთი სათამაშო ცხენი; გიორგი ურუმაშვილმა ხუთი სხვა-და-სხვა საფერფლე თავისის ხელით ნაკეთები.

## ახალი ამბავი

*** ქუთაისის გიმნაზიაში მისაღები ეგზამენები დაიწყება ამ გიმნაზიის მოსწავლეებთან ერთად 17, 18 და 19-ს ამ მაისს და აგვისტოს უკანასკნელს რიცხვებში. ვინც ვერ გაიმარჯვებს მაისის ეგზამენებზედ, მას ნება აღარ ექნება აგვისტოში გამოცდისა.

*** ამ დღეებში ტფილისში მოელიან ინგლისურ გაზეთის კორესპონდენტს დილონს. ამ კორესპონდენტმა პირველმა აუწყა ევროპას სასუნში მომხდარ აჯანყების საქმე.

*** ჩვენ მოგვივიდა ფოტოგრაფი რადიონოვის ქალისაგან სხვა-და-სხვა ნივთები, გადაღებულია აბრეშუმზედ სურათები ჩვენის ისტორიულ და თანამედროვე მოღვაწეებისა. მაგალ.: თამარისა, შოთასი, ირაკლისა, დიმიტრი ყიფიანისა, მამია გურიელისა, ყაზბეგისა, ექ. გაბაშვილისა, ილ. ჭავჭავაძისა, აკაკისა და სხვ. სურათები მშვენივრად არის გადაღებული: ბალიშებზედ, ცხვირსახოცებზედ, ლენტებზედ, აბაჟურზედ, მარაოზედ. ფოტოგრაფ ქალს განუზრახავს ამ ნივთებით შემოიაროს ზოგიერთი დაბა-ქალაქები, საცა უჭველია მსყიდველნი გამოჩნდებიან როდიონოვისა დგას: ვანქის ქუჩა, № 7.

*** ,,მეფე გიორგის ცხოვრებისთვის'' ფული მიღებულ იქმნა შემდეგის პირებისაგან: თელავიდგან, ნიკო რაზმაძესაგან რვა წიგნისა და ტფილისის მამადავითის მოძღვრის მაჭაროვისაგან ხუთი წიგნისა, სია წიგნის ბოლოში იქმნება დაბეჭდილი.

*** ჩვენდა საკვირველად, იარმუკაზედ ძველის წიგნების გამოტანა მაინც არ ისპობა. ამ მოკლე დროს განმავლობაში რამდენიმე ძველი წიგნი გაისყიდა და, სხვათა შორის, 1733 წ. რომში დასტამბული ქართული წიგნი ,,საქრისტიანო მოძღვრება'' ლათინურიდგან ნათარგმნი პატრის ტულუკაანთ დავითისაგან. კარგი იქმნება, რომ ყველა ამ ძველის წიგნების შესაძენად წერა-კითხვის საზოგადოების სამმართველომ რამე ღონისძიება იხმაროს და ხალხი მიაჩვიოს, რომ ძველი წიგნები მათთან მიჰქონდეთ შესაძენად.

*** ს. ლეხაივანდრავე, (სენაკის მაზრა): თანახმად ჩვენის წერილისა 22 თებერვლიდგან, ამასთანავე ვაცნობებთ „ივერიის რედაქციას“ სიას იმ პირებთა, რომელნიც არიან დიდი მადლობის ღირსნი ჩვენში სკოლის დაარსებისა, და მასთან მათი ნივთიერი შეწირულებისათვის: დავით ეგორ. ალადაშვილმა 5 მან., სტეფანე შიოს ძემ ძიმისტარაშვილმა 5 მან., ბლაღოჩინმა ა. კეკელიამ 5 მან., მღვდელი მ. დანელიამ 50 მან., მღვდელი კირ. დანელიამ 10 მან., მიხ. ი. ხაინდრავამ 30 მ., ტოტ. ბ. ქ. ხაინდრავამ ორი ქცევა მიწა. ლევ. გ. ხაინდრავამ 5 მან. ალექ. ხაინდრავამ 5 მან., ერისტო ი. გაბუნიამ 5 მან., მარიამ და ვასილ. ხანდამიშვილებმა 8 მანეთი.

აგრეთვე დიდი შრომა მიუძღვის ამ სკოლების დაარსებაში და დიდის მადლობის ღირსია ჩვენი პოლიციის ბოქაული ფიცხელაური, რომლის შემწეობითა და ჩაგონებითაც ჩვენში ქურდობამ იკლო და თუმცა-ღა აქაიქ გამოჩნდება კიდევ გულ-გაგლეჯილი იმერელი ხარების ან ცხენის მაძებარი, ეს ისევე უწინდელ დარჩენილ ხევის თავების მოქმედებას უნდა მიეწეროს და, ჩვენის აზრით, მინამ წესდებულება ბ-ნის ფიცხელაურისა პირუტყვის ქურდობის მოსპობის თაობაზედ არ შევა სრულს მოქმედებაში და ძველი ხევის-თავები არ იქნებიან დათხოვნილნი თავისს თანამდებობიდგან, ქურდობა კიდევ არ მოისპობა.

*** კავკასიის მთავარმართებელი ს. ა. შერემეტევი, რომელიც ერევნის გუბერნიაში იყო, ამ თვის ხუთს ტფილისს ჩამოვა.

*** როგორც შევიტყეთ, გოგჩის ტბაზედ დასაარსებელ ხომალდის წესდება, რომელიც წარადგინა ტფილისის სავაჭრო სახ. ძმ. წოვან. და ამხ.-მ, ამ ჟამად განუხილავს კავკასიის უმთავრესს სამმართველოს და ამ მოკლე ხანში კიდეც წარუდგენს სამინისტროს დასამტკიცებლად.

სავაჭრო სახლი „ძმათა წოვიანოვებისა და ამხ.“ მხოლოდ ერთს შეღავათს სთხოვს მმართველობას: მიენიჭოთ უფლება გოქჩის ტბაზედ მხოლოდ იმათ იყოლიონ გემები ოც-დახუთის წლის განმავლობაში. სამაგიეროდ „სავაჭრო სახლი“ აძლევს იმ პირობას, რომ ყოველივე სახელმწიფო წასაღებ-წამოსაღები მუქთად გადაუზიდოს თავისის გემით მთავრობას ამ ხნის განმავლობაში. მაგალითად: საგანგებოდ გაგზავნილი ნივთეულობა, ფულიანი პაკეტები და აგრეთვე ყოველივე საფოსტო ტვირთი ყოველ იმ ადგილებში, სადაც-კი მისწვდება იმათი გემები.

*** ორს მაისს ქალაქის სამმართველომ ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად თავადი ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ.

*** ნამდვილად შევიტყეთ, რომ სტავროპოლის რკინის გზა თითქმის გაუთავებიათ და რკინის გზის მატარებელი მხოლოდ რამდენისამე ვერსის მოშორებით და მიდის სტავროპოლში. ამ ჟამად სადგურებს თურმე აშენებენ.

*** ინჟენერი პუშჩნიკოვი, რომელიც პეტერბურგს იყო, რვა მაისს ჩამოვა ტფილისში.

*** სპარსეთის მთავრობას სასტიკად აღუკრძალავს, რომ ის ჟურნალ-გაზეთები, რომელიც ევროპაში სომხურს ენაზედ იბეჭდება, სპარსეთის სამფლობელოში არ შემოიტანონო.

*** როგორც გავიგეთ, გერმანიის კონსულად რიჩარდ სპენნემანს ჰნიშნავენ თურმე ბაქოში.

*** ამ მოკლე ხანში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსია გაემგზავრება ერევანს, რათა იქ გაიხილოს რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე.

დღეს, ექვს მაისს, ტფილისის მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა საზოგადოება ბავშვთა გასართობს სეირნობას ჰმართავს ქალაქ გარედ. ბავშვები ნაშუადღევის სამ საათზედ მოგროვდებიან სემინარიის წინ ბაღში, საიდგანაც ტრამვაით წაიყვანენ და ვერაზედ შადინოვის წისქვილის მახლობლად გამართული იქნება ყოველგვარი სათამაშო და გასართობი ყმაწვილებისათვის. ხოლო წყნეთის ქუჩიდგან ყმაწვილები, აღმზრდელ-მასწავლებელთა თანხლებით, წავლენ სასეირნოდ ქვეითად მუსიკის კვრითა და ბაირაღებით.

*** როგორც გვატყობინებენ, ბაქოში ცეცხლი გაჩენილა როტშილდის ნავთის ქარხანასთან. აქამომდე იწვება თურმე სამი ვეებერთელა რეზერვუარი კეროსინისა და ძალიან შიშობენ, რომ თვით უმთავრესს ქარხანასაც არ მოედოს ცეცხლიო.

### პატიოსანის, ნიჭიერისა და კეთილის მეგობრის ხსოვნას.

ამ დღეებში „ივერია“-ში ამოვიკითხე გულის დამთუთქველი, შემაძრწუნებელი ამბავი: აღარ არის მიხეილ ხელთუფლიშვილი! აღარ არის ჩვენი საყვარელი, დიდად ნიჭიერი, პატიოსანი, კეთილი მიშა! მინდა ვიტირო, მაგრამ ცრემლი არ მომდის თვალებზედ; რაღაც ნაირად გამშმაგებია გული და ისე დავსცქერი მიშას ნეკროლოგს,—ბოლომდის ვერც-კი წამიკითხავს... მერე რად არ მომდის ეგ ცრემლები? მე ხომ ისე ნაზად, სულით და გულით მიყვარდა მიშა! მე ხომ ისე ვაფასებდი მისს სიყვარულით მაძგერალს გულს! ნუთუ მიამა მიშას სიკვდილი?!. დიაღ, გული მომიკლა და თანაც მასიამოვნა ამ სიკვდილმა. მასიამოვნა, მისთვის რომ მან ბოლო მოუღო გაჯახირებულს სიცოცხლეს, ბოლო მოუღო ჯოჯოხეთურს ტანჯვას ძვირფასის ახალგაზდა კაცისას! ნიჭიერს და მასთან ქვეყნისათვის სასარგებლო მიმართულების კაცს სიცოცხლე სიცოცხლედ მხოლოდ მაშინ მიაჩნია, როდესაც ჰხედავს, რომ ეგ სიცოცხლე ქვეყნისათვის და საზოგადოებისათვის გამოსადეგარია. ცნობიერი, განათლებული კაცი, თუ-კი მას ამირანის ნაპერწკალი უღვივის გულში, ვერ მოითმენს გულ-ცივად ცქერას საზოგადოებრივის ცხოვრებისას; ვერ მოითმენს არ აღელდეს და პასუხი არ გასცეს ცხოვრებისაგან წამოყენებულს საჭირ-ბოროტო კითხვებს. გულ-ცივობა, აღუშფოთველობა და დაკმაყოფილება ყოველდღიურის პროზულის ცხოვრებით—ეგ არის თვისება უიდეალო და მცირე ნიჭის მქონე კაცისა. მიხეილ ხელთუფლიშვილი არ ეკუთვნოდა ამ გვარს კაცებს, პირ-იქით, სძაგდა ისინი. რჩეულთა ბეჭედი მის შუბლს ნათლად ემჩნეოდა. მ. ხელთუფლიშვილი ბუნებამ უხვად დააჯილდოვა ნიჭით და თან ღვთაებრივი ნაპერწკალი ჩაუღვენთა გულში. ეგ ნაპერწკალი დიდი მადლია, უიმისოდ ადამიანი კაცად არ ჩაითვლება. მ. ხელთუფლიშვილი უეჭველად უშიშარ გმირად უნდა მოვლენოდა ჩვენს ქვეყანას, ბუკი და ნაღარა უნდა დაეკრა მიძინებულ საზოგადოებისათვის, საშინელი ომი უნდა გამოეცხადებინა მისთვის დაობებულ ცხოვრების განსაახლებლად. იმნაირის ბუნების კაცი

იყო მ. ხელთუფლიშვილი, რომ მისი როლი ჩვენს საზოგადოებაში უთუოდ მეომრული უნდა ყოფილიყო, მაგრამ, დახე ბედის სიმუხთლეს, ულმობელმა ჭლექმა არ დაინდო ქვეყნის პირმშო შვილი, ჩაიგდო საშინელს კლანჭებში და დაუწყო ღრღნა. გიმნაზიაში ახალი კურს-დამთავრებული, სიცოცხლით სავსე ახალგაზდა, მაღალის იდეალებითა და საყვარელის სამშობლოს სამსახურის სურვილით გატაცებული გაემგზავრა ცივ უცხოეთისაკენ იმ განზრახვით, რომ უნივერსიტეტში, — ამ მეცნიერების ტაძარში დასწაფებოდა მეცნიერების წყაროს, გულ-მოდგინედ ესწავლა და მოეპოვებია ის იარაღი, რომელიც დღეს აუცილებლად საჭიროა ჩვენის ქვეყნისათვის. ყველა მისს ამხანაგებს გვჯეროდა, რომ მიშას ნიჭი და ცოდნა შესამჩნევს კვალს დასტოვებდა ჩვენს საზოგადოებაში; მაგრამ საუბედუროდ არ გაგვიმართლდა იმედი: მიშა დაბრუნდა რუსეთიდგან დაჭლექებული, ცოცხალ-მკვდარი. იმ დროიდგან დაწყებული, ეს ოთხი თუ ხუთი წელიწადია, საბრალო მიშა ნელ-ნელა დნებოდა. გულ-საკლავი იყო სურათი მიშას მდგომარეობისა: იდეალებით აღფრთოვანებულს, ახალგაზდა კაცს სწყუროდა შრომა, სწყუროდა სამსახური საზოგადოებისა, მაგრამ საშინელი სენი ხელფეხს უკრავდა. წარმოიდგინეთ მიშას განწირულება, როდესაც მას ექიმებმა აღუკრძალეს არამც თუ სერიოზული შრომა საზოგადოდ, თვით უბრალო წიგნის კითხვაც-კი! მართალია, საბრალო მიშას სიცოცხლის უკანასკნელ წამამდის არ დაუკარგავს სულის სიფხიზლე და ინტერესი ქვეყნისთვის სასარგებლო კითხვებისადმი, მაგრამ მის შემხედვარს ამხანაგებს მაინც გული გვიკვდებოდა...

არა ერთხელ წარმომიდგენია მიშას დანახვაზედ ფეხებ-დაჭრილი ლომი. გულ-საკლავი სანახავი უნდა იყოს ეგ სურათი; ბუნებამ არგუნა ლომს ნიჭი და ძალა სხვა მხეცთა შორის მეფობისა, მიანიჭა მას დიდება ამ ქვეყნად; მაგრამ, დახე ბედის სიმუხთლეს, უცებ ფეხები წაერთო ლომს და ეხლა უღონოდ გდია უდაბნოში მტრის სათრევად და შვებას მხოლოდ სიკვდილისაგან მოელის!

გული მტკივა და მსურს აქ ბევრი რამ წარმოვსთქვა, მაგრამ ენა ვერ გამოსთქვამს იმას, რის თქმაც გულსა სწადიან; ენამაც რომ შეიძლოს ჩემი ნამდვილ გრძნობების სავსებით გამოხატვა, მაინც იმ სხვა ათას გვარ ხელისა და პირის შემკვრელს პირობებს ხომ ვერსად წაუვალ!.. ჩემს მახსოვრობაში ეგ პირველი შემთხვევა არ არის ქართველთათვის სასარგებლო კაცის დაკარგვისა. სიკვდილმა თითქოს ჩვენთვის მოიცალა, ამ უკანასკნელს წლებში ქართველობას რამდენიმე საშინელის დანაკლი'ის გამო თვალებზედ მწუხარებით გადმონადენი ცრემლი არ შეჰშრობია. თავ ზარ-დამცემი იყო ჩვენთვის მოწამებრივი სიკვდილი გულ-გატეხილის მოხუცისა; მივაცილეთ ამის შემდეგ საუკუნო განსასვენებელს ადგილს: ჩვენის ვინაობის დამცველი, მეცნიერი-ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, უხუცესი ჩვენი პოეტი, „ბნელში იმედით მკვესელი"—ვ. ორბელიანი, ჩვენის ეროვნულ თვით-ცნობიერების გამაღვიძებელი დრამატურგი—დ. ერისთავი, ჩვენი ლერმონტოვი—მ. გურიელი, მწერალი ქალი—ელენე ლორთქიფანიძისა—ღირსეული მემკვიდრე დიდებულის მამისა, მეცნიერი ქართველი, ჩვენის ისტორიისა და ენისათვის დაუღალავი მოღვაწე—ი. ჩუბინაშვილი და ერთად-ერთი ჩვენი სასიქადულო სიტყვა კაზმულ ლიტერატურის წარმომადგენელი—ალ. ყაზბეგი.

ვშიშობ, რომ ამათ ვერ ჰპოვონ ჩვენში, გარდა ორიოდე ობლად მოღვაწე კაცისა, ღირსეული და საიმედო მემკვიდრე იმ დიდებისა, რომელიც ასულდგმულებს და ფერს აძლევს ჩვენს სულთ—მობრძავს სამშობლოს. მოვიგონოთ: ყველა ჩვენი სასიქადულო მოღვაწენი, ლიტერატურულსა თუ საზოგადოებრივს ასპარეზზედ, არიან ნაყოფი იმ ზნეობრივის ერთ-სულობისა და ერთ-გულობისა, რომელსაც ჰქმნის მისწრაფება ერთ ბრწყინვალე აზრისადმი; მართალია, ჩვენი ეგრედ წოდებული „განათლებულ ახალ-გაზდათა დასი" დღითი-დღე მდიდრდება ახალის წევრებით, მაგრამ, საუბედუროდ, ჯერ მას არ ეტყობა არც შესამჩნევი ნაყოფიერება, არც ის გავლენიანობა საზოგადოებაში, რომელიც შეადგენს პირდაპირს შედეგს შეერთებულის ძალით შრომისას. მე უიმედო პესსიმისტი არა მგონია ჩემი თავი; პირიქით, მე ყოველთვის გულ-გაუტეხელობით მომქონდა თავი; მე დიდად ვაფასებ სულგრძელობისა და ბრწყინვალე იმედების მოქადაგეს ჩვენში. მე ყოველთვის ღრმად მრწამდა დროებით გამარჯვებულის ბოროტების დამხობა და მაღალ იდეალების აღდგენა და საუკუნოდ გამარჯვება; მაგრამ ეხლა-კი, გამოტეხილი უნდა ვსთქვა, ჩემს იდეალებსაც და იმედებსაც უკრთება ფერი- რას უნდა მოველოდეთ მერმისისაგან, თუ-კი აწმყო ესრეთის ჯოჯოხეთურის სიბნელით არის მოცული? მე უადგილოდ არ მიმაჩნია ამ შემთხვევაში ამ ჩვენთვის საშინელის კითხვის წამოყენება. ეს კითხვა ძალა-უნებურად იპყრობს ყურადღებას, როდესაც მ. ხელთუფლიშვილისთანა კაცს ჰკარგავ; ეს კითხვა წვეულს სევდას ერთი-ასად ამწვავებს. ჩეული, ბუნებითი ნიჭიერი კაცი მით არის შესანიშნავი, რომ ის უიმედობით გარემოცულს, სასოწარკვეთილს ხალხს მოევლინება ციურ ანგელოსად და აღვენთებს გულში სასოებას, უღვიძებს იმედს უკეთესის მერმისისას, უსახავს მაღალს იდეალებს და სურვილს მათ განსახორციელებლად.

მ. ხელთუფლიშვილიც მით იყო ძვირფასი და საყვარელი, რომ ის ყოველთვის უფერულ ბრბოზედ მაღლა იდგა; მასთან მყოფი, მასთან ლაპარაკში, რა პროზაშიაც უნდა ყოფილიყავ ჩაფლული, უნებლიედ აღფრთოვანდებოდი და დავიწყებული ზეცა მოგაგონდებოდა. უყურებდი და არ გჯეროდა: ეგ ცოცხალ-მკვდარი კაცი ისე გატაცებულად დაიწყებდა ლაპარაკს საზოგადო კითხვების შესახებ, რომ უნებლიედ აღძრავდა შენში ენერგიას, აგიტოკებდა გულს სიყვარლით, თავ-დავიწყებამდის გაგიტაცებდა. კიდეც შეეძლო ნიჭიერად ლაპარაკი მ. ხელთუფლიშვილს. ყველა მისმა ამხანაგებმა და ნაცნობებმა იციან, თუ რა მჭევრ-მეტყველი და მახვილ-გონერი იყო მიშა. მისი მჭევრ-მეტყველება თვით მოწაფო'ის დროსაც ჰხიბლავდა მასწავლებლებს რუსებს და ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს მოსწონდა თავი მით, რომ ამისთანა მოწაფე ჰყავდა. დღესაც ნათლად მეხატება თვალ-წინ ერთი შემთხვევა: რუსის მწერლის ჟუკოვსკის მოსაგონებლად ქუთაისის გიმნაზიის პანსიონის ზალაში კრება იყო დანიშნული დილით, დიდ-ძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი; ეს საზოგადოება განსაკუთრებით შესდგებოდა ქუთაისის უმაღლეს წოდების პირთაგან: აქ იყო თვით გუბერნატორი, რამდენიმე ღენერალი და სხვა-და-სხვა უწყების წარმომადგენელნი მოხელეები; საზოგადოდ ეს კრება ბრწყინვალე სანახაობას წარმოადგენდა. უწინარეს ყოვლისა ქუთაისის გიმნაზიის დირექტორმა ბ-ნმა სტოიანოვმა შემთხვევის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. მერმედ მასწავლებლებმა ჟუკოვსკის ბიოგრაფია წაიკითხეს, შემდეგ ზოგიერთმა მოწაფეებმა წაიკითხეს ჟუკოვსკის ლექსები; მოვიდა მიშას რიგიც: ფერუცვლელად, არხეინად, თითქოს თავისს სახლშიაო, გამოვიდა მეხუთე თუ მეექვსე კლასის მოწაფე ლამაზი მიშა, ავიდა კათედრაზედ და დაიწყო ზეპირად პოემა „Камоэнсъ"-ის შინაარსის გარდმოცემა. მაგრამ რამდენი პოეზია, რამდენი გრძნობა იყო ამ გარდმოცემაში. სულ გავიწყდებოდა, რომ შენ წინ იდგა 16—17 წლის ბავშვი: მისი ხმა ხან გვრგვინავდა, სჭექდა, ცას შესჩიოდა. ხან ისე მინაზდებოდა, რომ უნებლიედ ღმობიერების ცრემლს მოგწყვეტდა თვალზედ. მთელი დამსწრე საზოგადოება სმენად გადაქცეული შესცქეროდა მშვენიერს მიშას. გაათავა მიშამ „Камоэнсъ"-ი ამ სიტყვებით: „Поезія есть Богъ въ святыхъ мечтахъ земли!" მთელმა საზოგადოებამ, როგორც ერთმა კაცმა, დასძახა „ვაშა" და თვისი აღტაცება დაუბოლოვებელის ტაშის ცემით გამოხატა. უნდა გენახათ ამ დროს ბ-ნი სტოიანოვი: ეს საზოგადოდ დინჯი და დარბაისელი კაცი ნამდვილის ბავშვურის აღტაცებით სცემდა ტაშს და ყველაზედ უფრო ხმა-მაღლა გაიძახოდა „ვაშას". მისი მისი თვალები ნათლად გამოხატვიდნენ უსაზღვრო სიხარულსა და თანაც სიამაყეს; ამ თვალებში ადვილად ამოიკითხავდით: „ხომ დაინახეთ, რა სასიქადულო მოწაფე მყავს ჩემს გიმნაზიაში!"

უთუოდ ბევრი გაკვირვებით იკითხავს, თუ ამისთანა შესანიშნავი ყმაწვილი იყო ეგ ხელთუფლიშვილი, მერე ჩვენ რატომ არ ვიცოდითო? ნეტავი რა დასწერა მისთანა შესანიშნავი, რომ ცამდის აჰყავთო? მართალია, იმერეთს გარდა ბევრი არავინ იცნობდა ჩვენში მიშას; ბევრს არა-იმერელს უთუოდ ეგ გვარი სულაც არ გაუგონია, მაგრამ იმერეთში-კი, ჩემის აზრით, არ არის მისთანა ცნობიერი ქართველი, რომ მიშას და მისი ოჯახის ცნობა არა ჰქონოდეს. ეგ ოჯახი ქუთაისში ერთი იმ განათლებულ ოჯახთაგანი იყო, სადაც თქვენ ხშირად ნახავდით ერთად თავმოყრილს იმერეთის მოწინავე საზოგადოების წევრებს. აქ გაიგონებდით ახალსა და ცოცხალს აზრებს საზოგადობრივისა და სალიტერატურო კითხვების შესახებ; აქ გაიცნობდით ყველა წარჩინებულს ქართველს მოღვაწეს; აქ წაიკითხავდით უკანასკნელს ნაწარმოებს რომელიმე გამოჩენილ მწერლისას, ჯერ დაბეჭდილიც რომ არ ყოფილიყო.

მართალია ისიც, რომ მიშას ბევრი არაფერი დაუწერია, მაგრამ რაც დასწერა ისიც საკმაო საბუთია იმისი, რომ კაცმა წარმოიდგინოს, თუ რის დაწერა შეეძლო მომავალში მიშას თამამად შემიძლია ვსთქვა და ჩემთან ერთად ამას დაამოწმებენ მიშას მრავალი ამხანაგნი, რომ მიშას სიკვდილით ჩვენმა ქვეყანამ დაჰკარგა დიდებულის ნიჭის მქონე კრიტიკოსი და პუბლიცისტი. ჩვენს დღეში მყოფთათვის ეგ ერთობ საგრძნობელი დასაკლისია! ყოველგვარი მწერალი დაჰბადა ჩვენმა ნიადაგმა, მაგრამ კრიტიკოსის გამოჩენას-კი არა ეშველა-რა!..

კიდეც რომ სრულიად არაფერი დაეწერა მიშას, მაინც ქება-დიდების ღირსი იყო. განა მარტო წერაში გამოიხატება საზოგადოებრივი მოღვაწეობა? ბევრი ახალგაზდა განათლებული კაცი სწერს დღეს; ზოგიერთს მათგანს ნიჭიერის მწერლის სახელიც მოუხვეჭია ნაცნობობითა და მოყვრობით, მაგრამ ამისთანა მწერლებს, უკაცრავად არ გახლდეთ, მიშას სახელის ხსენების ღირსადაც არ ვთვლი. ცნობიერს, ჭეშმარიტად განათლებულს კაცს შეუძლია საზოგადოებისათვის სარგებლობის მოტანა კალმის ხელში აუღებლადაც. ისიც ძვირფასია ქვეყნისათვის, თუ სწავლით შეიარაღებული კაცი დარაჯად უდგა საზოგადოებას, მასში მოქმედებს და აჟრცელებს ცოდნას, უღვიძებს სურვილს ხელ-ფეხ შემკვრელის ბორკილის დამსხვრევისას და თავისუფლების მოპოვებისას; ძვირფასია ჩვენთვის ის კაცი, რომელიც თავისის მოქმედებით თავისის მაგალითით ამხნევებს იმედ-დაკარგულს საზოგადოებას და გმირულად წინ მიუძღვის. აი ამისთანა კაცს ვუწოდებ მე ჭეშმარიტს ბელადს. ამისთანა საქმის კაცები, ამისთანა ბელადები გვჭირია ჩვენ დღეს. ამისთანა იქნებოდა საბრალო მიშა, რომ დასცლოდა.

ილია ჭავჭავაძემ ნ. ბარათაშვილზედ მშვენიერად სთქვა:

„აღარა გვყევხარ!.. ულმრთო იყო
შენი სიკვდილი!
ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავ-
მარხეთ ჩვენა,
ეგ მტკიცე გული, სიყვარულის სხივ-
ქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით
ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე
ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ
საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად
ყვავილნი
ჩასჭკნენ შენს გულში განუშლელად,
ეგრე უდროოდ!"

სწორედ ეს სიტყვები ითქმის მ. ხელთუფლიშვილზედაც. გულ-საკლავიც ის არის, რომ საბრალო მიშას არ დასცალდა საყვარელ სამშობლოს და საზოგადოების სამსახური. რომ დასცლოდა, მაშინ ხომ მთელი საქართველო გაიცნობდა თავისს სასიქადულო შვილს და პატივს-სცემდა. თუ სიცოცხლეში ვერ შეიძლებდა მიშას პატივისცემას ეს საზოგადოება, სიკვდილს შემდეგ მაინც შეუმკობდა კუბოს გვირგვინებით და ცრემლით დაალტობდა მისს საფლავს. უანგარო მიშა ამაზედ მეტს არც რასმე ითხოვდა საზოგადოებისაგან ნაცვლად დაუღალავის სამსახურისა. ეხლა-კი ვინ-და გაჰყვება მიშას კუბოს? ვინ შეამკობს მას გვირგვინებით? ვინ ეტყვის გამოსათხოვებელს სიტყვას მთელის საქართველოს მაგიერ?

უთუოდ დაახლოვებული ნათესავები და ნაცნობ-მეგობრები გააცილებენ საბრალო მიშას კუბოს საფლავამდის, იქნება ორიოდე გვირგვინიც გააყოლონ, იქნება გამოსათხოვებელი სიტყვაც უთხრას ვინმე მეგობარმა, მაგრამ ეგ რა პატივისცემაა მიშასთანა რჩეულ კაცისათვის? მიშას დასაფლავება მთელს საქართველოს უნდა შეეტყო და მონაწილეობა მიეღო.

მშვიდობით, ძმაო! რით ვანუგეშო შენი საბრალო დედა, შენი დები და ძმები? რით ვინუგეშო თვითონ მე? გულით მიყვარდი და შენი ხსოვნაც მეყვარება, სანამ სული მიდგა. არ დაგცალდა სამსახური, შენი სასოება ქვეყნისა და არც დაგიდგამს ქვეყანა ძეგლს, მაგრამ სამაგიეროდ შენი მოყვარული მეგობრები დაგიდგმენ თავიანთს გულში ხელთ-უქმნელს ძეგლს.

ჭეშმარიტი მეგობრები შენ ბევრი გყავდა!

ილ. პონტელი.

## კორესპონდენცია.

ს. ანაგა, (ქიზიყი). ჩვენში ახალი ბოქაული დაინიშნა და უნდა მოგახსენოთ, დიდათაც გაგვიხარდა, რადგანაც ვიფიქრეთ იქნება ეხლა მაინც არის ღმერთმა გადმოგვხედოს და ის, რაც უწინ უყურადღებოდ რჩებოდა, ახლა ახალი ბოქაულის ყურადღებას მიიქცევს და მის ახალ ძალ-ღონით სულ თუ არა, ცოტათი მაინც შესუსტდება ის ათას-გვარი უსამართლობა, რაიც აქნომდის ასე გვიდუხჭირებს ცხოვრებას ანაგელებს; მაგრამ ვერ წარმოიდგენთ ჩვენს სასოწარკვეთილებას, როდესაც ბატონმა ახალმა ბოქაულმა თავისი პირველი სიტყვა ანაგელებისადმი მიმართული ასე დაამთავრა: ნურც თავისუფალს და ნურც ნასწავლს კაცს ნუ ამოირჩევთ მამასახლისადაო. ვერ წარმოიდგენთ, რა ცუდი გავლენა იქონია ამ სიტყვებმა ხალხზედ. მართალია იმ გვარი ნასწავლი მამასახლისი ღმერთმა ყველას აშოროს, როგორიც ახლა ს. ანაგას განაგებს, მაგრამ, განა ეს იმის საბუთს გვაძლევს, რომ ყველა ნასწავლი არ ვარგა მამასახლისად? ნასწავლებშიაც დიდი გარჩევაა, რასაკვირველია, როგორც ზნეობის მხრივ ისე სწავლის მხრივ. ვისაც სოფელს გარეთ სადმე ბიჭად ყოფნის დროს ანბანა უსწავლია, ან სადმე ოთხ-კლასიან სასწავლებელში ორი კლასი გაუთავებია, მათ ჩვენი ქიზიყელები ნასწავლს ეძახიან. იქნება ამისთანა ნასწავლს მამასახლისზედ ლაპარაკობდა ჩვენი ბოქაული? მაგრამ არა, ის საზოგადოდ ნასწავლს მამასახლისს უარსა ჰყოფდა. ნეტა ვიცოდეთ, რამ აიძულა ჩვენი ახალი ბოქაული, რომ ისედაც გულ-გატეხილს ხალხს ამისთანა სიტყვები გააგონა?!

ანაგელი გლეხი.

## ბაირონის „ჩაილდ-ჰაროლდიდგან".

ვინც მთის მწვერვალზედ ზის და
ყურს უგდებს
მღინარის ჩქრიალს და მითი სტკბება;
ვინც ხალხს გაურბის, თვალსა არი-
დებს

და ტყე-ტყე ჩრდილში დაიარება;
ვინც ფრიალო კლდეს შეჰფარებია,
სადაც მეფობს ღრუბელი მსრბოლი;
ვისც მინდორ-ველი შეჰყვარებია, —
განა ის ქვეყნად არის ობოლი?
არა, ბუნება მას ასულდგმულებს
და სოფლის ჟღერას ყურს აღარ უგდებს.

მაგრამ ვინც ხალხში დადის, ტრიალებს,
გულ-სევდიანი, სულით მაშვრალი;
ვისაც ალერსი არვისი ატკბობს
და გულს არ უთბობს ტრფობისა ალი;
ვინც თავისს დარდსა, სევდას და ნაღველს
არავის ანდობს, ვერ უზიარებს;
ვისაც ძმურადა არვინ უწვდის ხელს
და ხედავს მხოლოდ ფლიდს და ორპირებს, —
აი, ის არს სულით ობოლი,
ქვეყნისთვის უცხო, არა ჰყავს ტოლი.

—

ბედნიერი ხარ, ათონის ბერო!
როს გადმოსდგები მთიდგან თუ არა,
შენ წინ იშლება მთელი სამყარო,
მაღლით დაგნათის ცისა კამარა.
ამ მიდამოში ვინც მოგზაურობს
და ხედავს შენსა გრძნეულს ადგილებს,
ბერულს ცხოვრებას გულითა ნატრობს,
შენს წმიდა მთასა შურით შეჰყურებს;
ქვეყანას თავი ჰსურს გაარიდოს,
რომ მისი ტვირთი აღარა ზიდოს.

ი. ბაქრაძე.

---

## პ ა ს უ ხ ი.

—

„ივერიის“ № 34-ში დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია ს. ბანოჯიდგან ვიღაც ზვიადაძესი. კორესპონდენცია ყოველს სიმართლეს იყო მოკლებული. ჩვენში არც არავის გზები განუკარგებია და არც ვის მოჰსვლია ეს ფიქრად. მღ. ი. ცქიტიშვილის წყალობით სკოლა დავიარსეთო და ამავე მღვდლის წყალობით განათლების წყაროს დავეწაფენითო. ესაც მტკნარი სიცრუეა. სკოლის შენობა და საჭირო ნივთები წინადვე გვქონდა ბანოჯელებს შეძენილი, ხოლო მასწავლებელი ბლოღჩინმა შვანგირაძემ მოიწვია. ერთი სიტყვით, გაკვირვებულნი ვართ, რად შეასხა მღ. ცქიტიშვილს ასე კორესპონდენტმა დაუმსახურებელი ქება და რისთვის დაჰგმო სხვები!

მ. წ. გ.

---

## ა ჭ ა რ ა

(შემდეგი *)

62, საღორეთი. 41 კომლი. 1873 წ. აქ ყოფილა დ. ბაქრაძე; ბაქრაძე სწერს, რომ საღორეთში 100 კომლიაო. დღეს-კი 41 კომლია, მაშ სჩანს 60 კომლზედ მეტი წასულა ოსმალეთში. დ. ბაქრაძის აქ მოსვლა დღესაც ბევრს ახსოვს. აქ ლაპარაკობენ, რომ ყველაზედ გვიან საღორეთი გათათრდაო. ამ სოფლის ახლო-მახლო სოფლები გათათრდნენ, მაგრამ საღორეთი-კი არაო. მაშინ ახალ გათათრებულებმა თავიანთს სოფლებში რაც ღორები იყვნენ, სულ შეაგროვეს ერთად და მიურეკეს საღორეთლებსა და უთხრესო: ძმებო! ჩვენ გავთათრდით, ეს ღორები თქვენ გებარებოდეთ. ჩვენ თათრობას ვსცდით, თუ არ მოგვეწონა, მაშინ ისევ გავქრისტიანდებით და ამ ღორებსაც გამოგართმევთ და თუ მოგვეწონა, მაშინ ჩვენ თათრად დავშთებით და ეს ღორებიც ღმერთმა თქვენ შეგარგოთო. ახალ გათათრებულთ თათრობა მოეწონათო, ესენი ძველ სჯულზედ აღარ გადავიდნენ და ღორები სულ მათ დარჩათო. რადგანაც ამ სოფელში ღორი ბევრი იყოვო, ამიტომ დაერქვა ამასაც სახელად საღორეთი, თორემ წინად სხვა სახელი ერქვაო. სოფელს ძველად ეკკლესია ჰქონია, ეკკლესიაზედ ჯამე დაუდგამთ. ჯამეს გვერდით ხოჯას სასწავლებელი აქვს და ამ სოფლის ქართველს ბავშვებს მხოლოდ თათრულად ასწავლის. უწყიან, რომ ვიდრე საღორეთი გათათრდებოდა, დიდი ბრძოლა და გაჭირვება გამოიარესო; ყველაზედ ცხარე ბრძოლა სჯულის გამო აქ საღორეთელებმა გამოსცადესო. ამ სოფელსა და აგარას გაღაღმა, ჩრდილოთ, სძევს ერთი დიდი შეუვალი ტყე, რომელსაც სახელათ ბეთლემის ტყეს უწოდებენ. ბეთლემის ტყეს მეტად დიდი ადგილები უკავია, ყველა ეს ადგილები ვაკე არს და ალაგ-ალაგ მთა-გორებიც არის ხშირის ტყეებით დაფენილი. ბეთლემის ტყეს გარშემო მეტად დიდი და მაღალი მთიანი ტყეები ახვევია, ეს მთები და ტყეები ისეა ერთმანერთზედ მიბმული და მიკრული, რომ კაცმა თუ გზა არ იცის ბეთლემის ტყისა და ხევისა, უამისოდ ძნელად რომ აქ ვინმემ მიაღწიოს და გზა გაიგნოს. ბეთლემის ტყე ამ მთებს შუა ქვაბივით სჩანს. მთელი ბეთლემი სავსეა გაუჩეხავის ტყეებით და საცა ტყეები არ არის, იქ ეწერი და წყავია ბევრი. აქ ნადირიც მეტად ბევრია: თეთრი ღორი, რაც სხვაგან იშვიათია, დათვი, ირემი, კანჯარი, თხა, თითქმის ყველა ნაირი პირუტყვი, ფრინველიც მრავალია და სხვადა-სხვა ნაირები. ყვავილებიც ძლიერ ბევრნაირი სცოდნია აქ. ეს ადგილები ისე დამდაბლებულია, რომ ზაფხულში ხშირად ბნელი ბურუსიც იცის აქ, ისე-ი რომ კაცი გზას ვერ გაარკვევს. ბეთლემის ტყის შუაზედ ერთს მთაზედ არის პატარა ეკკლესია. გათათრების დროს, დევნული ქრისტიანები აქ იფარავდნენ თავსაო. ბოლოს ოსმალთა შეუტყეს და წავიდნენ იქ დასამორჩილებლადაო, მაგრამ როგორც მოვიდნენ აქ, მაშინათვე ქარი ამოვარდა, დიდი წვიმა მოვიდა და ოსმალთ გზა და კვალი დაეკარგათო. შემდეგ ბევრის წვალებით დაიჭირეს ეს ადგილები და ხალხიც დაიმორჩილეს, მაგრამ თვითაც ბევრი იზარალესო. ბევრჯელ შეეშალათ გზა და კვალი და ვერაფერი გააწყესო. მაშინ ამათ აღთქმა დაუდვიათ, რომ ამ ადგილებს ჩვენი კაცი არავინ მიეკაროს და მას შემდეგ აღარავინ ეკარებაო. ამ ადგილების ამბები ოსმალურს ენაზედ აღწერილია და ქარტაც გადაღებული აქვთო. ამ ტყის ერთს მხარეს არის ერთი ტყიანი მთა, რომელსაც აქ „ბერთას“ უწოდებენ, ამ მთის გვერდით მეორე დიდს მთას „გემის საბამი“ ეწოდება. მითხრეს, რომ ძველს დროში ბეთლემში ზღვა ყოფილაო და გემებს თურმე ხსენებულს მთაზედ აბამდნენ, დასაბმელი ჯაჭვის გამოსაბამი ხვრელი დღესაც სჩანსო. ამ შეუვალ მთებისა და ტყეების შესავალთან არის ერთი ძველი კოშკი, რომელსაც „ცივა სროლას“ კოშკს უხმობენ. ამბობენ, რომ ეს კოშკი თამარ მეფეს გაუკეთებიაო. ბეთლემში ქართველი მაჰმადიანები სრულებით არ დაიარებიან, აქ ხალხი არ სცხოვრობს, მთელი მხარე გავერანებულია და ნადირთა თავ-შესაფარად გადაქცეული. ერთი და ორი კაცი აქ წასვლას ვერ ჰბედავს, ნადირისა ეშინიანთ, რამდენიმე კაცი დაიარაღებულნი ერთად წავლენ ხოლმე. აქაური სოფლის ყანები ამოგდებულია ღორისა და დათვისაგან. ამბობენ, რომ უმეტესი ნაწილი ღორი და დათვი ბეთლემის ტყიდგან გამოდის და აქა-იქ სხვა-და-სხვა სოფლის ტყეებში ეხეტებიან და ყანას სჭამენო. საღორეთი რომ გათათრდა, მაშინ ამათ თავიანთი ღორები სულ ბეთლემის ტყეში გარეკეს. ამ ტყეში ჯერ რუსის კაცს ფეხი არ შეუდგამსო.

63, ზედა-მოხუნცეთი. 47 კომლი. გადასახლდა 30 კომლი. ამ სოფელსა და საღორეთს შუა ერთი ძველი კოშკი სჩანს ერთს მაღალს მთაზედ, თამარ მეფის ნაშენიაო. აქ ძველად ეკკლესიაც ყოფილა. 1873 წ. დ. ბაქრაძემ ამ სოფლიდგან ვერ გაბედა კოშკის გასინჯვა და ეკკლესიის ადგილის ნახვა. მაშინ დიდი შიში იყო აქ. დღესაც მეტად საშიშარი ტყეები და ადგილებია.

ზ. ჭ.

(შემდეგი იქნება).

*) იხ. „ივერია“ № 94.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთი „ნოვოე ვრემია“ აი, რას ამბობს კავკასიაში გავრცელებულ (?) ძარცვა-ყაჩაღობის შესახებ: ამ საქმის შესახებ სამხრეთ რუსეთის ჟურნალ-გაზეთებმაც დაიწყეს ლაპარაკი. მაგ. „იუჟ. კრაი“-ში დაბეჭდილია მთელი ფელეტონი კავკასიის ძარცვა-ყაჩაღობის შესახებ, სადაც მოყვანილია სხვადა სხვა მიზეზები, რომელნიც ხელს უმართვენ ყაჩაღობას; სხვათა შორის, ერთ უპირველეს მიზეზად ეს გაზეთი ასახელებს კავკასიელთა შეხედულებას ყაჩაღობაზედ. იმათის აზრით ყაჩაღობა უფრო გმირობაა, ვიდრე ბოროტ-განზრახვითი საქციელი და ყაჩაღების სიმრავლესა და მათს თავისუფალს მოქმედებას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ კავკასიის ადმინისტრაცია ნახევარზედ ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგებაო. იარაღის ტარება და იმედი იმისი, რომ ამ ვაჟბატონთ მფარველობას გაუწევენ ადმინისტრაციის წარმომადგენელნი ადგილობრივ მცხოვრებთაგან, თავისის მხრივ მუდამ ამრავლებს ყაჩაღთა რიცხვსაო.

> ადმინისტრაციას, (რომელიც თითქმის ადგილობრივ მცხოვრებთაგან შესდგება) და ამ ადმინისტრაციის შეხედულებათ იმათ შესახებ, ვინც ყაჩაღობსო, ამბობს „იუჟ. კრაი“, — დიდი მნიშვნელობა აქვთ ყაჩაღობის მოსპობის საქმეშიო. ასე მაგ. თუ მოხელედ ქართველი ან სომეხია, მაშინ იგი სასტიკს საშუალებას იხმარს თათრების მიერ ჩადენილ ყაჩაღობისა ან გაძარცვის წინაალმდეგ, რადგანაც ისინი ამ შემთხვევაში ძალიან კარგად არჩევენ თავიანთს თავს თათრებისაგან და იციან, რომ თათრები მათთვის კარგს არას განიზრახვენ, — ყველა ესენი გიაურები არიან. მაგრამ როგორ მოეპყრობიან ყაჩაღთ ქართველთ (ქართლ-კახელთ) და მეგრელთ, ეს-კი სულ სხვა არისო და სხვანი.
>
> ამ რამდენიმე წლის წინად ერთს ქალაქში სწორედ შუადღისას მოჰკლეს პოლიციის ბოქაული შიგ შუა ხალხში. მკვლელებიცა და პოლიციაც თათრები იყვნენ და ამის მიზეზით მკვლელნი დღესაც ვერ აღმოუჩენიათ. ასეთი მაგალითი არა ერთი და ორიაო.

ამის გამო ავტორი წერილსა აუცილებელ საჭიროებად სთვლის, რომ ავაზაკობა, თუ გაძარცვა, ჩადენილი რომელსამე ადგილში, გარდაჰხდეს ყველა მცხოვრებლებს და არა მარტო დამნაშავეთ, რომ მცხოვრებლები მუდამ გაფრთხილებულნი იყვნენ და კიდევ აი, რას ჰფიქრობს:

> უთუოდ საჭიროა ადგილობრივ კავკასიის მცხოვრებნი უფლებებით სრულიად გათანასწორდნენ რუსეთის დანარჩენ ქვეშევრდომებთან, რათა თვით გარემოებამ შესცვალოს მათი განკერძოებული შეხედულება და ზნე-ჩვეულებანიო. ამისათვისკი საჭიროა რაც შეიძლება მალე გარდასწყდეს ესრედ წოდებული წოდებათა გარჩევისა და ადგილ-მამულის მფლობელობის საქმე და აგრეთვე ის, რომ მაღალს წოდებას აღარა ჰქონდეს არავითარი გავლენა დაბალს ხალხზედ, გლეხობაზედაო.

ვსთქვათ, მართალია, რასაც „იუჟ. კრაი“ ამბობს, მაგრამ რატომ ავიწყდება ყველასაგან და ყველგან მიღებული საშუალება წარმოთქმულის აზრის დასამტკიცებლად, — დასაბუთება აზრისა მომხდარ ამბით, სტატისტიკით, რაც უთუოდ ნათელს ჰფენს მუდამ საკამათო საგანს და ჰსპობს წარმოთქმულ აზრის უთანხმოებას? მეორეც, ასეთს დასაბუთებას აუცილებლად თან უნდა სდევდეს ახსნა და განმარტება იმ პირობათა და გარემოებათა, რომელმაც აიძულა ეს დამნაშავე, ჩაედინა ასეთი თუ ისეთი საქციელი. და აი, მხოლოდ ამ პირობებში ეძლევა ადამიანს გადაჭრილის აზრის წარმოთქმის ნება; უიმისოდ-კი დასკვნა ან აჩქარებულად ჩაითვლება, ან არა და რაიმე სხვა განზრახვას მიეწერება.

ხოლო რაც შეეხება წერილის ავტორის რჩევას, ადმინისტრაციის წარმომადგენელებად არ იყვნენ თვით კავკასიელნი, ამაზედ მოვახსენებთ ივტორს წერილისას, რომ ეს სცადეს კიდეც ერთხელ, მაგრამ სასურველი ნაყოფი მაინც ვერ მოიტანა და საქმეს გაუმჯობესების მაგიერად უარესობა დაეტყო, რადგანაც ადმინისტრაცია (არა ადგილობრივ მცხოვრებთაგან) არ იცნობდა ხალხს, არ იცოდა მისი ზნე-ჩვეულება და ის, თუ სად და როგორ მოქცეულიყო, რაც, ეჭვი არ არის, აუცილებელს საჭიროებას შეადგენს სამაგალითო ადმინისტრაციისათვის. გვიკვირს, რატომ არ ჰხელმძღვანელობენ ხოლმე ასეთის უტყუარისა და აშკარად მოლაღადე ფაქტებით წერილთა ავტორნი, როდესაც საჭირ-ბოროტო საქმისა თუ საკითხის გარდაწყვეტაში ბრძანდებიან?!

—

გაზეთებში იბეჭდება ვრცელი ანგარიში გერმანიის პარლამენტის იმ სხდომისა, რომელზედაც ირჩეოდა მთავრობის მიერ შემუშავებული საგანგებო კანონები და ამ ჟამად უკვე უარყოფილი პარლამენტისაგან. ამას წინად ჩვენს გაზეთში მოყვანილი გვქონდა კონსერვატორის თავ. კაროლატის სიტყვა, დღეს მოვიყვანთ სოციალისტის ბებელის სიტყვას, რომელიც შემოკლებით დაბეჭდილია გაზეთ „რუს. ვედომოსტ“-ში. ბებელმა ილაპარაკა სასჯულო საქმეთა მინისტრის შენშტედტის შემდეგ, რომელიც კლერიკალებს სთხოვდა, მთავრობას დაეხმარეთ და წარდგენილი კანონ-პროექტი შეიწყნარეთო. მინისტრი იმგვარ კილოთი ლაპარაკობსო, დაიწყო საციალისტთა წინამძღოლმა, თითქო დარწმუნებული იყოს, რომ კლერიკალები მთავრობის მომხრენი არიან. ტყუილი იმედია: კლერიკალები ვერ შეიწყნარებენ იმ კანონს, რომელიც ასე დაუფიქრებლად, ასეთის სისწრაფით შემუშავდა. ეს საჯაროდ გამოაცხადა ვიურტემბერგის პირველმა მინისტრმა მიტნახტმა. კანონი, რომელიც წყნარად, აუჩქარებლად და დაფიქრებით არ არის შემუშავებული, მხოლოდ ჰრყვნის საზოგადოებასა და მსაჯულთ. გერმანიის საზოგადოება მეტად აღელვებულია საგანგებო კანონ-პროექტით. როგორ ხშირად იცვლება მთავრობის აზრი და შეხედულება? ოთხი წელიწადია მას შემდეგ, რაც უმაღლესი მთავრობა იმ აზრისა იყო, რომ საგანგებო კანონი მხოლოდ ამრავლებს უკმაყოფილოთა რიცხვს და აძლიერებს საციალ-დემოკრატიას. ახლა იგივე მთავრობა სრულიად წინააღმდეგ აზრისაა.

> „მე კარგად ვიციო, სთქვა ბებელმა, რომ თუ ეს პროექტი უარ-ყოფილ იქმნა პარლამენტისაგან, მთავრობა უფრო უარესსა და მკაცრს საგანგებო კანონს შეიმუშავებს და ყოველს ღონისძიებას იხმარს მიაღებინოს პარლამენტს. არ ვიცი, დაემორჩილება თუ არა პარლამენტი მთავრობას, ის-კი ვიცი, რომ ვერავითარი საგანგებო და შემზღუდველი კანონები ვერ შესძლებენ იმ მოძრაობის შეჩერებას, რომელიც შედეგია ახლანდელის წესწყობილებისა“.

შემდეგ ბებელი ჰკიცხავს იმ კაპიტალისტთა და სახელმწიფო მოღვაწეთ, რომელნიც სახელმწიფოს მოვალეობად სთვლიან სოციალიზმთან ბრძოლას ყოველგვარის იარაღით, ბრძოლას მუშათა ყოველ სურვილთან, მუშათა კანონიერ აგიტაციასთან.

აქ ბებელს სიტყვას ართმევს დეპუტატი კარდორფი და აღიარებს, რომ კაპიტალისტები და სახელმწიფო მოღვაწენი, რომელთაც ჰკიცხავს ორატორი, მართალნი არიანო.

> „თქვენი აზრი, უპასუხა ბებელმა, სრულიად ფანტიკურია. წარმოიდგინეთ, რა ამბავი მოხდება, თუ თქვენ დაგიჯერათ ყველამ და ჩვენ, სოციალისტებს მოგვისპეს საშუალება ჩვენის იდეების გავრცელებისა კანონიერისა და მშვიდობიანის გზით? ბრძოლა, იდეალები და მისწრაფება უკვე არსებობს, ეკონომიური ბრძოლა, რაც უფრო დრო მიდის, უფრო მწვავდება, პროლეტარიატი იზრდება. წაართვით ამ პროლეტარიატს საშუალება კანონიერის გზით ბრძოლა, ამით ხომ თქვენვე მიუთითებთ ხალხს ძალადობისაკენ და რევოლიუციისაკენ?!.“

—

გაზეთი „მოსკ. უწყ.“ ამბობს, რომ აქნობამდის თავ. ბისმარკი ცოტათი მაინც თანახმა იყო გერმანიის პოლიტიკისა აღმოსავლეთს აზიაში, ახლა-კი იგი პირ-და პირ ჰკიცხავს მას. ამის საბუთად გაზ. „მოსკ. უწყ.“-ს მოჰყავს თავად ბისმარკის შემდეგი წერილი ერთის გერმანულის გაზეთიდგან:

> „თუ გერმანიის მოქმედებას ტოკიოში ის აზრი ჰქონდა, რომ სამსახური გაეწია რუსეთისათვის და მით მიმხრობოდა ინგლისისათვის არა-სასურველს მხარეს აღმოსავლეთ აზიის საქმეებში ეს, შეიძლება ვსთქვათ, რომ სასიქადულოა, მაგრამ ამისათვის ისიცა კმაროდა, რომ გერმანია სრულებით არ ჩარეულიყო საქმეში და არც ერთის მხარე არ დაეჭირა. რა საბუთებით გაამართლებს გერმანია თავისს ამგვარს მოქმედებას, ძნელია ამისი თქმა. ამისთანა მოქმედებისათვის უფრო საპატიო საბუთები, უნდა ყოფილიყო, ვიდ-

რე რუსეთთან მიმხრობა. ან არის ამისთანა საბუთები, თუ არა ეს ჩვენ არ ვიცით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანიის მოქმედება აღმოსავლეთ აზიის საქმეებში აჩქარებული იყო, მან ჩვენს გარეშე საქმეთა პოლიტიკაში მხოლოდ ინგლისის უკმაყოფილება შეიძინა. არც იმას დავმალავთ, რომ იმისთანა აჩქარებული მოქმედება გვიჩვენებს, რომ გერმანიის პოლიტიკა მეტად სუსტია და თუ მას მოლოდინი არ გაუმართლდა, მაშინ საქმე გერმანიისთვის უსიამოვნო გზას დაადგება. ამას გერმანია ასცდებოდა, თუ რუსეთის მხარე არ დაეჭირა. თუ გერმანიის მოქმედება აღმოსავლეთს აზიაში მარტო იმითი იყო გამოწვეული, რომ თავისი სავაჭრო ინტერესები დაეცვა, მაშინ მას უნდა შეეცადნა და საქმეს არ უნდა ასჩქარებოდა.

## უცხოეთი

—

**ინგლისი.** 26 აპრილს ლონდონში დიდის ხნის მზადების შემდეგ მოხდა მიტინგი ოსმალეთისათვის პროტესტის გამოსაცხადებლად. გაზეთებიდგან სჩანს, რომ მიტინგი ვერ ყოფილა ისეთი, როგორიც ინგლის-სომხების ასოციაციას უნდოდა. ხალხიც ნაკლებად დასწრებია, დამსწრენიც არ მოეკიდნენ საქმეს მოსალოდნელის გულ-მხურვალეობით; გლადსტონი, თუმცა მას ბევრი ეხვეწნენ? მიტინგს არ დაესწრო და სხვა. თავმჯდომარეობდა ჯერ ჰერცოგი არგაილი, შემდეგ ჰერცოგი ვესტ-მინისტერისა. პირველად წაკითხულ იქნა გლადსტონის წერილი, რომელშიაც ,,დიდი მოხუცი‘‘ მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ ოსმალეთი ქრისტიან ქვეშევრდომთა წვალებით თავისს თავს იღუპავს. რა შედეგი მოჰყვა ბოლგარელთ წვალებას, ის უკვე დაავიწყდა ოსმალეთსაო. ,,ევროპის მოვალეობა არის, ამბობს გლადსტონი, ისეთი რამ საშუალება იღონოს, რომ ოსმალეთს აღარ შეეძლოს ევროპის მოტყუება და უთუოდ რეფორმები მოახდინოს საქრისტიანო პროვინციაშიო. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთი და საფრანგეთი ჩვენს მთავრობასთან ერთად მხნედ წარუძღვებიან ამ საქმეს“. წერილის წაკითხვის შემდეგ ჰერცოგ-არგაილმა გამოაცხადა: სრულიად ვეთანხმები გლადსტონსაო. ოსმალეთის მთავრობამ რამდენჯერმე აღუთქვა ევროპას საქრისტიანო პროვინციის მართვა-გამგეობის გაუმჯობესება, მაგრამ სიტყვა საქმედ ჯერაც არ უქცევია. „საჭირო არისო, დაამბოლოვა სიტყვა არგაილმა, პროტექტორატი დააარსოს ინგლისის მთავრობამ და თვით მოახდინოს საჭირო რეფორმები.“ ამის შემდეგ ილაპარაკეს ქბ. სომმერსეტ, გერეფორდის ეპისკოპოსმა, ლივერპულის ლორდ-მერმა (ქალაქის მოურავი) და სხვ. კრებამ თანაგრძნობა გამოუცხადა იმათ ოჯახებს, ვინც უკანასკნელ არეულობის დროს წვალება მიიღო, პროტესტი გამოუცხადა ოსმალეთს, რომელიც თავისის მოქმედებით უარს-ჰყოფს ჰუმანურს გრძნობას, რომელმაც რამდენჯერმე მოატყუა ევროპა და თავისი დაპირება არ შეასრულა; შემდეგ კრება სთხოვს ინგლისის მთავრობას – უფრო გულმოდგინედ შეუდგეს ქრისტიანების დაცვას ოსმალეთში და თავდაპირველად განათავისუფლებინოს ყველა ის სომხები, რომელნიც ოსმალეთის მთავრობას პოლიტიკურ დამნაშავედ უცვნია და სატუსაღოში ჩაუგდია.

—

**საფრანგეთი.** შაბათს გამოცხადდა, რომ ინგლისი და შეერთებული შტატები ურჩევდნენ იაპონიას, სამ სახელმწიფოთა მოთხოვნილებას დაჰმორჩილებოდა. ამავე დროს კიოტოში თვით იმპერატორის თავმჯდომარეობით იაპონიის მინისტრთ ბჭობა ჰქონდათ და გარდასწყვიტეს, უარი სთქვან პორტ-არტურის მფლობელობისა, რადგანაც მოწინააღმდეგე სახელმწიფონი იმედს აძლევენ, რომ ჩაჰბარდება იაპონიას სამხედრო კონტრიბუცია, რომელიც ჩინეთმა უნდა გადაუხადოს. იაპონიამ განაცხადა თანხმობა აგრეთვე იმის შესახებ, რომ სიმონოსეკის ხელშეკრულობა სავსებით იქმნას განხილული. ამავე საღამოთი დეპეშით აცნობა იაპონელმა ელჩმა საზღვარ გარედ ეს გარდაწყვეტილება და სთხოვდა, დაუყოვნებლივ ეცნობებინათ იმ სახელმწიფოთათვის რომლებიც-კი რაიმე მონაწილეობას იღებდნენ ამ საქმეში. კვირას, შუადღის შემდეგ, იაპონიის ელჩი მივიდა ბ-ნ განოტოსთან და განუცხადა, რომ იაპონიის მთავრობა მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მოთხოვნილების ყველა პუნქტებს ასრულებსო, ე. ი. იგი უარს აცხადებს პორტ-არტურის მფლობელობისას და მზად არის ხელშეკრულობის მეორე ხარისხოვანი პუნქტებიც მათთან ერთად განიხილოსო. ამ მოლაპარაკების შემდეგ ზღვათა მინისტრმა მაშინვე დეპეშით გაგზავნა ბრძანება ტულონში, რომ იაპონიაში წასასვლელად გამზადებული გემები შეეყენებინათ.

### უცხოეთის წვრილი ამბები.

—

საფრანგეთის ცნობილი არტისტი ქალი სელინა მანტალანი გვიამბობს, როგორ იყო იგი ორჯელ სარჩობელაზედ და ერთხელ როგორ გააგდებინა თავი ტანს. სულ პირველად სელინა ტიუსსოს მუზეუმში თურმე შევიდა სარჩობელაზედ; აქ იყო გამართული ნამდვილი თავ-წასაგდებინებელი მანქანა. „მეო, ამბობს არტისტი-ქალი, — თავს ველარ ვიმაგრებდი, მსურდა ავსულიყავ ამ მანქანაზედ და თავი დახისათვის შემეშვირაო. ამავე დროს რაღაცა გაუგებარმა სურვილმა შემიპყრო, მე ისე გულით მიხდოდა, თავი მოეჭრათ. ხელიც თითქმის როგორღაც უნებურად წავავლე ჯაჭვს რომ დანა ამეშვა, მაგრამ, საბედნიეროდ, დანა მაგრად გამოდგა მიმაგრებული და თავი ისევ ტანზედ შემრჩა. მეორედ მასეს სახლში დავდე თავი ამ მანქანის დანის ქვეშ, რომელიც მაშინ ნამდვილ კაცის თავის ტოლა მახვანაზედ სცდიდა ამ ჯოჯოხეთურს ძალას. „გნებავთ თავს გაგაგდებინებთო?“ — მითხრა მასემ ხუმრობით. „დიახ!“ - მეთქი ვუპასუხე მე და ისევ იმ სიკვდილის სურვილის ციებამ ამიტანა. მაგრამ როგორც უწინ, ეხლაც თავი ისევ ზედ შემრჩა. „ის მაინც არ შემიძლიან ვნახო, როგორ სჭრიან თავს ადამიანს?“ — ვკითხე მე. — „მაგაზედ ადვილი აღარა არის-რაო“, მიპასუხა მასემ და აგერ ამოიღო კალათიდგან ნამდვილი კაცის ტოლა ტიკინი და თავი მანქანაზედ დაუდო. „აი! — მითხრა მან, — რამდენიც გნებავდეთ, გააგდებინეთ თავიო“. გადავდგი ნაბიჯი, ჩამოვუშვი დანა და თავი კალათაში გადავარდა; მაგრამ რა დამემართა მე: საშინლად გავფითრდი, წასაქცევად წავიბარბაცე და კინაღამ გულიც არ შემიღონდა, რადგანაც მეგონა იმ ჟამად, მართლა სიცოცხლე მოვუსპე-მეთქი ადამიანს“.

უველაზედ უძველესი წიგნი ქვეყანაზედ. პარიჟის ნაციონალურს წიგნთ-საცავში ერთი წიგნია, რომელსაც ეწოდება „პრისსის პაპირუსი“; წიგნს ეწოდება მპოვნელის სახელი. პრისსს ეს წიგნი უპოვნია თიბანიაში, აკლდამაში, ერთ თანამედროვე მეფის ასსას გვამთან ერთად; მეფე ასსა ეკუთვნოდა თიბანიის პირველს სამეფო დინასტიას და ქრ. შობამდის 33,50 წ. წინად თურმე სცხოვრობდა, მაშასადამე პაპირუსი ამ ჟამად 5,245 წლისაა. წიგნს შემდეგი სათაური აქვს: „განკარგულებანი პრეფექტის პტა-ხოტეპისა, რომელიც ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეფის ასსას დროს სცხოვრობდა“. განკარგულება დაწერილია უმაღლეს წოდებისათვის და შეიცავს სხვადასხვა მიწერილობათ და შენიშვნათ. ავტორი წიგნისა ამბობს თავისსზედ. რომ მეფე დიდად მწყალობელი მყავს და 110 წლისა ვარო.

### წერილები რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

,,ივერიის‘‘ № 92-ში ბ-ნი ივლიანე წერეთელი მთხოვს, რათა გამოვაცხადო სინამდვილე მართლა გადმოვწერე თუ არა მე ბ-ნ ა. ბენაშვილის სახლში ერთი საგალობელი „შენდამი იხარებს მიმადლებულო“. მე, უნდა აღვიარო ჭეშმარიტება და უნდა გამოვაცხადო, რომ ის საგალობელი: „შენდამი იხარებს მიმადლებულო“ მართლაც გადმოწერილი მაქვს ბ-ნ ა. ბენაშვილის სახლში იმ რვეულიდგან, რომლის ბოლოშიაც ასე ეწერა: ,,გადაღებული ბ-ნ ფ. ქორიძისაგან და მგალობლების დიმიტრი ჭალაგანიძისა, რაჟდენ ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან“.

მგალობელი ივლიანე ნიკოლაძე.

—

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლას ბ. გრიგოლ ტატიშვილმა შემოსწირა მის მიერ გამოცემული წიგნები: სამი ცელქი—10 ეგზ., ოქროს თავთავი—10 ეგზ. და ძუნწი—10 ეგზ., რისთვისაც სკოლის გამგეობა უგულითადესს მადლობას უძღვნის შემომწირველს.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

5 მაისი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორმა უმოწყალესად ინება თვისის მფარველობის ქვეშ მიიღოს მცირე წლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი სახლები და ტუსაღთა ბავშვების თავშესაფარები.

მხატვრობის წარმატებისათვის მზრუნველ საიმპერატორო საზოგადოების კომიტეტის მიერ წარდგენილ 1894 წლის უქვეშევრდომილესს ანგარიშზედ, რომელსაც დართული ჰქონდა მოკლე შესავალი, განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე III სახელობაზედ, მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება მიიღო თავისს მფარველობის ქვეშ ზემოხსენებულის დაწესებულებისა და საკუთარის ხელით დააწერა შემდეგი: „იმედი მაქვს, საზოგადოება ყოველ მხრივ ეცდება, რომ ჩვენი ეროვნული ხელოვნება ისეთსავე წარმატების გზას ადგება, როგორც განსვენებულის დაუვიწყარის მამი-ჩემის დროსა“.

„ვაჭრობა-მრეწველობის გაზეთი“ იუწყება: 1895 წლის 20 მარტს სახელმწიფო საბჭოს თანხმობით უმაღლესად დამტკიცებული ბანდეროლი ჩაისა შემოღებულ იქმნა და აგრეთვე დადგენილ იქმნა დაისაჯოს ყველა ის, ვინც ამ კანონის წინააღმდეგ მოიქცევა.

**ოდესსა.** დნეპრი იქამდის მოდიდდა, რომ ხერსონში ქალაქის დაბლობი ადგილები, ხის სახერხი ქარხნები და ნავთსადგურები წალეკა.

**ვენა,** 4 მაისი. კალნოკიმ ხელახლად ითხოვა სამსახურიდგან გადადგომა; იმპერატორმა თხოვნა შეიწყნარა. ამბობენ, რომ კალნოკის მოადგილედ ბუხარესტის ელჩად ნამყოფი გრაფი გოლუხოვსკი იქნებაო.

**რომი,** 4 მაისი. იტალიის ვექილი სელვესტრელი, რომელიც ლონდონში აწარმოებდა საქმეებს, ამავე თანამდებობაზედ პეტერბურგში იქმნა გარდაყვანილი,


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ყ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)



**უმაღლესად** დამტკიცებული 20 მარტს 1881 წ.

## დამზღვევი საზოგადოება
## „როსსია“

ს.-პეტერბურგი, Большая Морская, 37.

მთლად განაღდებული დასაფუძნებელი თანხა აქვს 20.500,000 მან

საზოგადოების სარგებლიანი ქაღალდები სახელმწიფო-ბანკში ინახება.

საზოგადოების მოქმედება:

**დაზღვევა სიცოცხლისა**

მცირე პრემიით (შესატანი ფული) და მეტად სასარგებლო პირობით, სახელდობრ:

1. დაზღვევა სიკვდილამდე (სანუკეშოდ ოჯახისა და სხვა);
2. დაზღვევა ვადიანი (სიბერის დროს გამოსატანი თანხა, სამზითვო და სხ.);
3. დაზღვევა შემოსავლისა (პენსია მოხუცთათვის, ქვრივთათვის, სტიპენდია ყრმათათვის და სხვ.)

მოარულით სიკვდილი ვერ დააბრკოლებს დაზღვეულის თანხის მიცემას;

**დაზღვევა უბედურ შემთხვევისაგან**

როგორც კერძო კაცისა, ისე საერთო, საამხანაგო, ქარხნებში მოსამსახურეთა და მომუშავეთა;

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

ყოველ გვარ უძრავისა და მოძრავის ქონებისა;

**დაზღვევა ტრანსპორტებისა,**

ზღვით, მდინარით, თუ ხმელეთით გაგზავნილ საქონლისა.

განცხადება დაზღვევისათვის და ყოველ გვარი ცნობები ეგზავნება უმთავრესს მმართველობას, (ბოლშაია მორსკაია, საკუთ. სახლი, № 37), კავკასიის ოლქის სამმართველოში, ტფილისს (სოლოლაკი, სერგიევის ქუჩა, სახლი № 3) და საზოგადოების აგენტებს იმპერიის ყველა ქალაქებში.

უბედურ შემთხვევისაგან დამზღვევი ბილეთები მგზავრებს (როგორც რკინის გზაზედ, ისე გემებით მიმავალთ) მიეცემათ რკინის გზის სადგურებზედ: ტფილისში, ბაქოს და ბათუმს, და გემთსაწყობადგურებზედ.

50—6—22


Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Мая 1895 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე